ეროვნულ
დემოკრატიული
ინსტიტუტი

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
9 ოქტომბერი, 2016

საკონტაქტო პირი:
დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org
თბილისი, +995 577 77 96 39
ემილი როდრიგესი, erodriguez@ndi.org,
ვაშინგტონი,+1 202 728-55005

ცალკეული ინციდენტების მიუხედავად მოქალაქეებმა თავისუფლად შეძლეს ხმის მიცემა, აცხადებს NDI-ის სადამკვირვებლო დელეგაცია

თბილისი – კონკურენტუნარიანი და მრავალფეროვანი საარჩევნო კამპანიის შემდეგ, მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ თავისუფალად მიეცათ ხმა და საარჩევნო უბნების დიდ ნაწილში ხმის დათვლის პროცესი მშვიდად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა, განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციამ დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. თუმცა ზოგიერთ საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესი შეჩერდა ან შეწყდა უმართავი და ზოგიერთ შემთხვევაში აგრესიული ჯგუფების მიერ.

არჩევნების დღე, რომელიც მშიდ გარემოში დაიწყო, ძალადობის ცალკეული შემთხვევებით დასრულდა. ამომრჩევლების დიდმა ნაწილმა, საუბნო საარჩევნო კომისიის თანამშრომლებმა, პარტიის აქტივისტებმა და კანდიდატებმა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მშვიდობიანი მონაწილეობით დემოკრატიისადმი ერთგულება დაადასტურეს. არჩევნების დღეს, NDI-ის დამკვირვებლებმა ხმის მიცემასთან დაკავშირებული მცირედი დარღვევები დააფიქსირეს, თუმცა უმეტეს შემთხვევებში საუბნო კომისიის წარმომადგენლები დაუღალავად მუშაობდნენ, რათა საარჩევნო პროცედურები სათანადოდ ორგანიზებული და აღსრულებული ყოფილიყო.

საღამოს საათებში, ზოგიერთ ადგილას სიტუაცია გაუარესდა. ზოგიერთ უბანზე, ხმის დათვლის პროცესი შეჩერდა ან შეწყდა აქტივისტების მიერ, რომლებიც უბნის გარეთ იმყოფებოდნენ. ამ პროცესებმა არაერთი ამომრჩევლისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ დღის პირველ ნახევარში დემოკრატიისთვის გაწეულ წვლილს ჩრდილი მიაყენა, თუმცა რიგი პრობლემური უბნების გამოკლებით, სადაც ხმის დათვლის პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობდა, მთლიანობაში ამ ფაქტებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდებია ეროვნულ შედეგებზე, გარდა გარკვეული მაჟორიტარული ოლქებისა, სადაც სავარაუდოდ მეორე ტური გაიმართება.

“ახლა ხელისუფლებას, საარჩევნო ადმინისტრაციას, პარტიებს, კანდიდატებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს დაძაბულობის განმუხტვის ვალდებულება ეკისრებათ. ყველა მხარემ თავი უნდა შეიკავოს შემდგომი ძალადობისგან,” - განაცხადა NDI-ის დელეგაციამ. “არჩევნების შედეგები, რომელიც სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა დაადასტურეს, მაგალითად საუბარია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაზე“ და მათ მიერ ჩატარებულ ხმების პარალელური დათვლის

შედეგებზე, აღიარებული უნდა იყოს. პოლიტიკურმა პარტიებმა ყველა საჩივარი და დარღვევა დოკუმენტურად უნდა ასახონ და ამ საჩივრების განსახილველად არსებული სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენონ. ცესკომ დაუყოვნებლივი რეაგირება უნდა მოახდინოს დარღვევებზე და ხმის დათვლის პროცესის ხელის შეშლაზე, რათა დაადგინოს, სად არის საჭირო განმეორებითი დათვლა ან განმეორებითი არჩევნების ჩატარება; განსაკუთრებით იმ მაჟორიტარულ ოლქებში, სადაც ამან შეიძლება, არჩევნების საბოლოო შედეგებზე მოახდინოს გავლენა.”

სადამკვირვებლო მისიამ, რომელიც პოლიტიკოსების, სამოქალაქო ლიდერების, საარჩევნო ექსპერტებისა და რეგიონის სპეციალისტებისგან შედგებოდა, ქვეყნის 10 რეგიონში 80-მდე საარჩევნო უბანი მოინახულა. დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ: აშშ-ს დელავერის შტატის ყოფილი სენატორი და NDI-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ტედ კაუფმანი; პოლონეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ევროპარლამენტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი იანუშ ონიშკევიჩი; აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი კონეკტიკუტის შტატიდან და NDI-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი სემ გეჯდენსონი; ბელგიის სახელმწიფო მინისტრი და ევროპარლამენტის ყოფილი წევრი ანემი ნეიტს-უტებროკი; NDI-ის ევრაზიის პროგრამების რეგიონალური დირექტორი ლორა ჯუიტი და NDI საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა თორნტონი.

თბილისში დელეგაციის წევრები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, მთავრობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებს, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. თბილისში ჩატარებული საორიენტაციო შეხვედრების შემდეგ დამკვირვებლები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გაემგზავრნენ, სადაც ისინი საარჩევნო გარემოს შესაფასებლად ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციის, პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებს, ასევე ადგილობრივ დამკვირვებლებს შეხვდნენ. არჩევნების დღეს NDI-ს დამკვირვებლები შესაბამის ოლქებში საარჩევნო უბნების გახსნის, ხმის მიცემის, დახურვისა და ხმების დათვლის პროცესს აკვირდებოდნენ. მუშაობის პროცესში დელეგაცია დაეყრდნო NDI-ის წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიგნებებს, რომელიც საქართველოს ივნისში სტუმრობდა; ასევე გრძელვადიანი ანალიტიკოსების დაკვირვებებს, რომლებიც საქართველოში აგვისტოდან იმყოფებიან.

NDI-ის დელეგაციის განცხადებით, დღეს გამოქვეყნებული ანგარიში წინასწარ შეფასებას წარმოადგენს. NDI გააგრძელებს საარჩევნო პროცესის მონიტორინგს არჩევნების მეორე ტურის პროცესში და შესაბამისად წარადგენს შემდგომ ანგარიშებს.

NDI-ის სადამკვირვებლო მისიამ საქმიანობა მიუკერძოებლად, პროფესიონალურად და საქართველოს კანონმდებლობისა და არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციის შესაბამისად განახორციელა. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში NDI ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფებთან და საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა.

სადამკვირვებლო დელეგაციას “ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის” (NED) და აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს.

__NDI__ არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: www.ndi.org

###